საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი 24.09.2021.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ზურაბ კუკულავა, აკაკი იმნაიშვილი და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში მიმდინარე წლის 29 ივლისს N1297 განკარგულებით შესული ცვლილებებით გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 72448,88 ლარი და 88 თეთრი; მათ შორის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ხარჯზე 67905 ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 4543,88 ლარი და 88 თეთრით.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები შემცირდა 21176 ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების არაფინანსური აქტივების მუხლის 2300 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 2300 ლარით.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე განათლების ობიექტების (სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის) რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდოს 71882 ლარით.

ასევე გაიზარდოს გარე განათების მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულების დაფინანსება 80000 ლარით და მოხმარებული წყლის ხარჯი 15000 ლარით, აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს ჯარიმების და საურავების გეგმის 95000 ლარით ზრდის ხარჯზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წინადადებით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში არაფინანსური აქტივების მუხლის (კაპიტალური რემონტები) 20000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 20000 ლარით სკოლამდელ დაწესებულებაში „სსპის" პროგრამის დანერგვის მიზნით, ტენიანობის საზომი თერმომეტრების, ავეჯისა და სხვა ნივთების შესაძენად.

სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდიდან გამომდინარე მას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილ საკითხზე გავლილი იქნას კონსულტაცია იურიდიულ სამსახურთან და დაზუსტებული იქნას თუ რამდენად მიზანშეწონილია ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, რომელიც ეხება ბიუჯეტის ზრდას საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნული ცვლილებით კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

- **საკითხზე, რომელიც ეხება წყალწმინდის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსების გაზრდას, გავლილი იქნას კონსულტაცია იურიდიულ სამსახურთან.**

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი

24.09.2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №7

2021 წლის 24 სექტემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

- **საკითხზე, რომელიც ეხება წყალწმინდის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსების გაზრდას, გავლილი იქნას კონსულტაცია იურიდიულ სამსახურთან.**

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.09.2021 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11:50	
2	ციცინო ჩხაიძე	არ გამოცხადდა	
3	გიორგი ჩახვაძე	11:50	
4	დავით ჩხარტიშვილი	არ გამოცხადდა	
5	ამირან გიგინეიშვილი	არ გამოცხადდა	
6	იოსებ ჩხაიძე	არ გამოცხადდა	
7	აკაკი იმნაიშვილი	12:00	
8	ზურაბ კუკულავა	12:00	